ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2017 წელს განხორციელებული სამუშაოს შესახებ

1. საანგარიშო პერიოდში შეფასდა და მომზადდა ავტორიზაციის პროცესისთვის ფაკულტეტზე არსებული 4 საბაკალავრო, 5 სამაგისტრო, 3 სადოქტორო, 6 პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი (ე.წ. საგნობრივი) და 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (ე.წ. მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(სულ 23 საგანმანათლებლო პროგრამა);**
2. ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა ფაკულტეტის საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების განახლებული კატალოგები;
3. ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში შეფასდა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით გადამუშავდა/განახლდა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი		
შეფასებული სილაბუსების რაოდენობა	**იდენტიფიცირებული ხარვეზები**	**განხორციელებული აქტივობები**
სულ შეფასდა: **599** სილაბუსი: ბაკალავრიატი: 334; მაგისტრატურა: 260; დოქტორანტურა: 5.	კრედიტების და საათების განაწილება; გამოცდაზე დაშვების წინაპირობები; სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები; ძირითადი ლიტერატურა მითითებული იყო სხვა ენაზე (ინგლისური, რუსული); სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების შეუსაბამობა; სწავლის შედეგები არ იყო სრულად გაშლილი; სასწავლო მასალის გვერდები არ იყო მითითებული; გამოვლინდა სილაბუსის ავტორებისა და ლექტორების შეუსაბამობა.	კრედიტების კრედიტების და საათების განაწილება; გამოცდაზე დაშვების წინაპირობები; სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები; განახლდა და ოპტიმალური გახდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; დაზუსტდა სილაბუსის ავტორები და ლექტორები; შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება ან მოხდა მათი ჩანაცვლება; შესაბამისობაში მოვიდა სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები.

4. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან აკრედიტაცია/ავტორიზაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მზადების პროცესებთან დაკავშირებით;
5. მოეწყო აკრედიტაცია/ავტორიზაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების განხილვები პროფესორთა/პროგრამის ხელმძღვანელთა სხდომებზე;

6. განხორციელდა ფაკულტეტის პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში შესული ცვლილებების, ახალი და გადამუშავებული სილაბუსების შეფასება, შემდგომი სრულყოფის მიზნით მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შეთავაზება, ცვლილებების შესახებ მასალის მომზადება ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოზე წარსადგენად;
7. ტურიზმისა და მასპინზლობის მენეჯმენტის კათედრის აკადემიურ პერსონალთან და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ახალი ქართულ-ფრანგული ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის „ტურიზმი“ მომზადებაში მონაწილეობა;
8. მომზადდა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად საჭირო ინფორმაცია და მტკიცებულებები;
9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პერსონალის კითხვარის შემუშავებასა და გამოკითხვის ორგანიზების პროცესში;
10. გაანალიზდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად მიღებული ინფორმაცია, შესაბამისი მასალები და მტკიცებულებები;
11. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებთან/ადმინისტრაციასთან/აკადემიურ/პერსონალთან/სტუდენტებთან/ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეები, დაისახა სრულყოფის მიმართულებები;
12. დამუშავდა აღნიშნული კითხვარის შედეგები ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების საფეხურების მიხედვით აკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების თვითშეფასების ორგანიზების მიზნით;
13. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა ფაკულტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი სააკრედიტაციოდ წარსადგენი პროგრამების თვითშეფასების მიზნით. ჩატარდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დამუშავდა შედეგები;
14. მოხდა თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის 153 დადგენილების შესაბამისად ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განახლების/გადამუშავების პროცესის ორგანიზება. კერძოდ, შეიქმნა პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი სამი დარგობრივი კომიტეტი, ორგანიზება გაუკეთდა შეკრებებს არსებული პროცედურების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებას;
15. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და ორგანიზება გაუკეთდა ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხდომებს აკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების მხარდამჭერი და აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად შესაბამისი მასალების მომზადების მიზნით

აკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების ჩამონათვალი
1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
4. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა

5. ორმაგი ხარისხის ქართულ-ფრანგული სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“

16. დამუშავდა და გაანალიზდა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო კურსებისა და ლექტორთა შეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, ინფორმაცია მიეწოდათ ლექტორებს/შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელებს/ პროგრამის ხელმძღვანელებს ინდივიდუალურად შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით.
17. განხორციელდა პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა, 2018 წლის მიღებისთვის ანკეტა–კითხვარების მომზადება და წარდგენა ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად;
18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა თსუ ხარისხის სამსახურის, სასწავლო დეპარტამენტის, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტების პროექტების განხილვაში;
19. სამსახური მონაწილეობდა ფაკულტეტის საბჭოსთვის საკითხების მომზადებაში (პროგრამული ცვლილება, ხარისხების მინიჭება, ხარისხების კორექტირება);
20. სამსახურმა მიიღო თანამონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის, კვლევისა და განვითარების სამსახურების საქმიანობაში და მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;
21. სამსახურმა ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება გაუწია ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ პირებს;
22. მოხდა სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და დოკუმენტაციის მომზადება კრედიტების აღიარების კომისიისათვის;
23. მომზადდა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის კრედიტების წინასწარი აღიარების პროექტები;
24. მოხდა შემოსულ წერილების მიხედვით საკითხების შესწავლა და საპასუხო წერილების მომზადება;
25. სამსახურის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ვორკშოფებსა და ტრეინინგ-სემინარებზე სწავლების მეთოდების, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის საკითხების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით;
26. სამსახურის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების მუშაობაში;
27. დაზუსტდა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიები განახლებული პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით, პროგრამებში ჩარტული პერსონალის მათი ბიოგრაფიული მონაცემები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები და ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომები ჩამონათვალი.

ეთერ ხარაიშვილი
პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

28. 03. 2018